ოქმი:**ო02. 3723166001**

თარიღი:**15/06/2023**

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 14 ივნისი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდნენ: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი, ნ. ურუშაძე, დ. ჭაკნელიძე, ტ. აროშიძე, გ. შილაკაძე, ბ. ქათამაძე, ალ. ბურჭულაძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ჭანიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2 . „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: ლ. თავაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხოლო პროექტის კონკრეტულ ცვლილებებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუჯეტი იზრდება 7 მილიონ ლარზე მეტით და მიაღწია ისტორიულ ნიშნულს- 70 მილიონ 273 ათას ლარს, შემდეგ კონკრეტულად ისაუბრა იმ მუხლებსა და პროგრამებზე, სადაც გადანაწილდა დამატებითი თანხები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კომისიის დარგების შესაბამის მუხლებსა და პროგრამებს, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის

წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი -„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“, ვრცლად პროექტზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ლ. თავაძემ, მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში არსებული დადგენილების პროექტები წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი